

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25  
2023 წლის 8 დეკემბერი

ქ. ახალქალაქი

„ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №21 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/12/2022, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.141.016364) შეტანილი შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. დამტკიცდეს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 26 441 816 (ოცდაექვსი მილიონ ოთხას ორმოცდაერთი ათას რვაას თექვსმეტი) ლარის ოდენობით და ხარჯები 31 976 687 (ოცდათერთმეტი მილიონ ცხრასას სამოცდათექვსმეტი ათას ექვსას ოთხმოცდაშვიდი) ლარის ოდენობით. გარდამავალი ნაშთი შეადგენს 4 090 (ოთხი ათას ოთხმოცდაათი) ლარი.

2. „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №21 დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს წინამდებარე დადგენილების დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ნაირი ირიციან

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი

დანართი 1

თავი I. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

**მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი**

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	19 047,4	17 774,9	10 959,4	6 815,5	14 914,3	10 590,0	4 324,3



გადასახადები	8 181,8	9 097,0	9 097,0	-	9 083,2	9 083,2	-
გრანტები	9 656,9	7 223,5	408,0	6 815,5	4 564,3	240,0	4 324,3
სხვა შემოსავლები	1 208,7	1 454,4	1 454,4	-	1 266,8	1 266,8	-
<b>II. ხარჯები</b>	<b>7 533,3</b>	<b>8 431,9</b>	<b>8 241,4</b>	<b>190,5</b>	<b>10 605,4</b>	<b>10 491,4</b>	<b>114,0</b>
შრომის ანაზღაურება	1 696,9	1 372,2	1 372,2	-	2 183,2	2 183,2	-
საქონელი და მომსახურება	1 629,6	2 256,2	2 097,3	158,9	2 759,8	2 645,8	114,0
პროცენტი	53,7	41,6	41,6	-	31,3	31,3	-
სუბსიდიები	3 184,8	3 590,4	3 590,4	-	4 493,0	4 493,0	-
გრანტი	73,9	70,0	70,0	-	70,0	70,0	-
სოციალური უზრუნველყოფა	764,3	847,0	847,0	-	660,1	660,1	-
სხვა ხარჯები	130,1	254,5	222,9	31,6	408,0	408,0	-
<b>III. საოპერაციო სალდო</b>	<b>11 514,1</b>	<b>9 343,0</b>	<b>2 718,0</b>	<b>6 625,0</b>	<b>4 308,9</b>	<b>98,6</b>	<b>4 210,3</b>
<b>IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>11 988,5</b>	<b>8 194,1</b>	<b>1 945,6</b>	<b>6 248,5</b>	<b>8 274,5</b>	<b>3 346,6</b>	<b>4 927,9</b>
ზრდა	12 073,8	8 262,5	2 014,0	6 248,5	8 384,5	3 456,6	4 927,9
კლება	85,3	68,4	68,4	-	110,0	110,0	-
<b>V. მთლიანი სალდო</b>	<b>- 474,4</b>	<b>1 148,9</b>	<b>772,4</b>	<b>376,5</b>	<b>-3 965,6</b>	<b>- 3 248,0</b>	<b>- 717,6</b>
<b>VI. ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>- 565,6</b>	<b>1 068,4</b>	<b>691,9</b>	<b>376,5</b>	<b>-4 046,1</b>	<b>- 3 328,5</b>	<b>- 717,6</b>
ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	-	-	-	-
კლება	565,6	- 1 068,4	- 691,9	- 376,5	4 046,1	3 328,5	717,6
ვალუტა და დეპოზიტები	565,6	- 1 068,4	- 691,9	- 376,5	4 046,1	3 328,5	717,6
<b>VII. ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>- 125,4</b>	<b>- 80,5</b>	<b>- 80,5</b>	<b>-</b>	<b>- 80,5</b>	<b>- 80,5</b>	<b>-</b>
კლება	125,4	80,5	80,5	-	80,5	80,5	-
საშინაო	125,4	80,5	80,5	-	80,5	80,5	-
სესხები	125,4	80,5	80,5	-	80,5	80,5	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	-	-
<b>VIII. ბალანსი</b>	<b>- 34,2</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>-</b>	<b>- 0,0</b>	<b>0,0</b>	<b>-</b>

## მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:



დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	19 132,7	17 843,3	11 027,8	6 815,5	15 024,3	10 700,0	4 324,3
შემოსავლები	19 047,4	17 774,9	10 959,4	6 815,5	14 914,3	10 590,0	4 324,3
არაფინანსური აქტივების კლება	85,3	68,4	68,4		110,0	110,0	-
<b>გადასახდელები</b>	<b>19 698,3</b>	<b>16 774,9</b>	<b>10 335,9</b>	<b>6 439,0</b>	<b>19 070,4</b>	<b>14 028,5</b>	<b>5 041,9</b>
ხარჯები	7 499,1	8 431,9	8 241,4	190,5	10 605,4	10 491,4	114,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	12 073,8	8 262,5	2 014,0	6 248,5	8 384,5	3 456,6	4 927,9
ვალდებულებების კლება	125,4	80,5	80,5	-	80,5	80,5	-
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>- 565,6</b>	<b>1 068,4</b>	<b>691,9</b>	<b>376,5</b>	<b>- 4 046,1</b>	<b>- 3 328,5</b>	<b>- 717,6</b>

### მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 14 914,3 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	19 047,4	17 774,9	10 959,4	6 815,5	14 914,3	10 590,0	4 324,3
გადასახადები	8 181,8	9 097,0	9 097,0	-	9 083,2	9 083,2	-
გრანტები	9 656,9	7 223,5	408,0	6 815,5	4 564,3	240,0	4 324,3
სხვა შემოსავლები	1 208,7	1 454,4	1 454,4		1 266,8	1 266,8	

### მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 9 083,2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები



გადასახადები	8 181,8	9 097,0	9 097,0	-	9 083,2	9 083,2	-
სამემოსავლო გადასახადი	-	-	-	-	-	-	-
დამატებითი ღირებულების გადასახადი	725,6	1 025,0	1 025,0	-	1 183,2	1 183,2	-
ქონების გადასახადი	7 456,2	8 072,0	8 072,0	-	7 900,0	7 900,0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	7 169,0	7 748,5	7 748,5	-	7 730,0	7 730,0	-
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3,7	4,6	4,6	-	3,0	3,0	-
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	7,6	12,1	12,1	-	2,0	2,0	-
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	74,5	99,0	99,0	-	82,0	82,0	-
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	201,4	207,8	207,8	-	83,0	83,0	-

## მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 4 564,3 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
<b>გრანტები</b>	<b>9 656,9</b>	<b>7 223,5</b>	<b>4 564,3</b>
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	-	-	-
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	-	193,0	-
გათანაბრებითი ტრანსფერი	9 656,9	7 030,5	4 564,3
მიზნობრივი ტრანსფერი დეველოპერული უფლებამოსილების განსახორციელებლად	-	-	-
კაპიტალური ტრანსფერი	215,0	215,0	240,0
სპეციალური ტრანსფერი, მათ შორის :	9 441,9	6 815,5	4 324,3
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	-	-	-
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	-	-	-
აზიური ფაროსანის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ	-	-	-

## მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 1 266,8 ათასი ლარით:

ათას ლარში



დასახ ელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>1 208,7</b>	<b>1 454,4</b>	<b>1 266,8</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	701,5	766,4	635,8
პროცენტები	382,7	442,8	400,0
რენტა	318,8	323,6	235,8
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	187,5	416,8	371,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	158,8	391,2	349,0
სანებართვო მოსაკრებელი	37,4	6,9	7,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	8,0	6,8	7,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	78,0	341,7	300,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	33,3	35,8	35,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	2,1		
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	28,7	25,6	22,0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	169,4	248,6	260,0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე		22,6	
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	150,3		

## მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 10 605,4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>ხარჯები</b>	<b>7 533,3</b>	<b>8 431,9</b>	<b>8 241,4</b>	<b>190,5</b>	<b>10 605,4</b>	<b>10 491,4</b>	<b>114,0</b>
შრომის ანაზღაურება	1 696,9	1 372,2	1 372,2	-	2 183,2	2 183,2	-
საქონელი და მომსახურება	1 629,6	2 256,2	2 097,3	158,9	2 759,8	2 645,8	114,0
პროცენტები	53,7	41,6	41,6	-	31,3	31,3	-
სუბსიდიები	3 150,6	3 590,4	3 590,4	-	4 493,0	4 493,0	-
გრანტები	73,9	70,0	70,0	-	70,0	70,0	-
სოციალური უზრუნველყოფა	764,3	847,0	847,0	-	660,1	660,1	-



სხვა ხარჯები	130,1	254,5	222,9	31,6	408,0	408,0	-
--------------	-------	-------	-------	------	-------	-------	---

## მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 8274,5 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 8384,5 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 110,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
<b>01 00</b>	<b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>144,0</b>	<b>349,6</b>	<b>660,2</b>
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	144,0	349,6	660,2
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>9 282,1</b>	<b>6 812,9</b>	<b>7 129,4</b>
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5 760,5	4 878,0	3 522,7
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 816,7	317,7	453,3
02 03	გარე განათება	23,6	7,5	10,0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	311,8	553,0	1 716,1
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	-	-	-
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	684,0	240,4	307,5
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	685,5	816,3	1 119,8
<b>03 00</b>	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	-	-	-
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	-	-	-
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>2 499,5</b>	<b>1 072,4</b>	<b>576,2</b>
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	32,9	12,5	-
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	193,8	992,8	534,0
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	2 272,8	67,1	42,2
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>14,2</b>	<b>25,6</b>	<b>-</b>
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	9,5	-	-
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	4,7	25,6	-
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>134,0</b>	<b>2,0</b>	<b>18,7</b>
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	134,0	2,0	18,7
	<b>სულ არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>12 073,8</b>	<b>8 262,5</b>	<b>8 384,5</b>



დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	85,3	68,4	110,0
ბირთადი აქტივები	65,4	57,5	30,0
არაწარმოებული აქტივები	19,9	10,9	80,0
მიწა	19,9	10,9	80,0

### მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3 049,0	3 114,4	4 743,1
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 869,9	2 992,3	4 711,8
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 869,9	2 992,3	4 559,8
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	-	152,0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	179,1	122,1	31,3
7.2	თავდაცვა	100,3	102,9	144,5
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	100,3	102,9	144,5
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	5 911,8	5 257,1	3 891,0
7.4.5	ტრანსპორტი	5 911,8	5 257,1	3 891,0
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5 911,8	5 257,1	3 891,0
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	-	-	-
7.5	გარემოს დაცვა	682,1	735,6	877,4
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	682,1	735,6	877,4
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	3 948,0	2 505,7	4 199,7
7.6.1	ბინათმშენებლობა	-	-	-
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	-	-	-



7.6 3	წყალმომარაგება	1 892,9	356,0	662,7
7.6 4	გარე განათება	240,2	306,9	332,9
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1 814,9	1 842,8	3 204,1
7.7	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>334,7</b>	<b>247,7</b>	<b>271,9</b>
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	334,7	247,7	271,9
7.8	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>1 249,6</b>	<b>1 241,7</b>	<b>1 547,0</b>
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	618,0	564,6	772,9
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	595,6	642,5	726,2
7.8 3	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	36,0	34,6	47,9
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	-	-	-
7.9	<b>განათლება</b>	<b>3 655,4</b>	<b>2 687,5</b>	<b>2 655,2</b>
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	1 305,5	2 509,9	2 499,0
7.9 2	ზოგადი განათლება	2 349,9	177,6	156,2
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	2 349,9	177,6	156,2
7 10	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>782,6</b>	<b>897,6</b>	<b>660,1</b>
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	34,0	37,2	26,1
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	-	-	-
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	303,5	321,2	202,0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	22,8	17,0	20,0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	422,3	522,2	412,0
	<b>სულ</b>	<b>19 713,5</b>	<b>16 790,2</b>	<b>18 989,9</b>

## მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს - 3 965,6 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 4 308,9 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	11 514,1	9 343,0	4 308,9
მთლიანი სალდო	- 474,4	1 148,9	- 3 965,6

## მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს - 4 046,1 ათასი ლარით:





დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 565,6	1 068,4	- 4 046,1
ზრდა	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	-	-
კლება	565,6	- 1 068,4	4 046,1
ვალუტა და დეპოზიტი	565,6	- 1 068,4	4 046,1

## მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 80,5 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სასხეო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 484,0 ათას ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 403,5 ათასი ლარი.

## თავი II. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

### მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 8090,7 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8 090,7
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3 891,0
02 01 01	გზების რეაბილიტაცია	3 522,7
02 01 02	გზების მოვლა შენახვის ხარჯები	368,3
02 02	წყლის სისტემების განვითარება	662,7
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	628,3
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია	34,4
02 03	გარე განათება	332,9
02 03 01	გარე განათების რეაბილიტაცია	225,0
02 03 02	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	107,9



02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 776,8
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	1 776,8
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	307,5
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	1 119,8

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>გზების რეაბილიტაცია</b>	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 01 01</b>		<b>3 522,7</b>
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა გულისხმობს როგორც ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, სასოფლო გზების რემონტსაც.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მიკოიანი ჩიხის მოასფალტება</li> <li>• ს. კუმურდოში სკოლამდე მისასვლელი გზის საფეხმავლო ბილიკის რეაბილიტაცია</li> <li>• ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ლომატურცხი- ბურნაშეთამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია, ბურნაშეთის სკოლამდე</li> <li>• ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქის ს/გზიდან სოფ.ხანდო-სოფ.ვარეჯანის საჯარო სკოლამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია</li> <li>• ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ახალქალაქი-კარწახის შიდა სახლემწიფოებრივი გზიდან სოფ. დადეშამდე სასოფლო გზის რეაბილიტაცია</li> <li>• ახალქალაქი-კარწახი (თურქეთის საზღვარი) ს/გზიდან სოფ.ოკამი-სოფ.ქარცევის გზის კმ 12+220 - კმ 13+420 მონაკვეთის რეაბილიტაცია</li> </ul>		
მოსალოდნელი შედეგი	ქუჩების და სასოფლო გზების მდგომარეობა გაუმჯობესდება,		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>გზების მოვლა შენახვის ხარჯები</b>	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 01 02</b>		<b>368,3</b>
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა გულისხმობს როგორც ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-შენახვას, აგრეთვე, სასოფლო გზების რემონტსაც.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაზიანებული ასფალტ ბეტონის საფარის ორმოული შეკეთება</li> <li>• ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლის გზების მოხრეშვა</li> <li>• ქ. ახალქალაქის ქუჩების დახაზვა</li> <li>• სასოფლო გზების თოვლისგან გაწმენდა</li> </ul>		
მოსალოდნელი შედეგი	ქუჩების მდგომარეობა გაუმჯობესდება, მოსახლეობა ისარგებლებს სუფთა და მოხერხებული გზებით, იმობრავენს კომფორტულად.  ზამთრის პერიოდში მოსახლეობას ექნება ქალაქის ადმინისტრაციულ ცენტრამდე შეუფერხებელი მოძრაობა		



პროგრამის დასახელება	კოდი	<b>წყლის სისტემის რეაბილიტაცია</b>	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 02 01</b>		<b>628,3</b>
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციასა და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა- რეაბილიტაციას.</p> <p>პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ახალქალაქში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება;</li> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;</li> <li>- წყლის სისტემების ექსპლუატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.</li> </ul> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაციის ქვეპროგრამა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ექსპლუატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან. მიმდინარე ეტაპზე პროგრამის შედგება 1 ქვეპროგრამისაგან - სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაციის ქვეპროგრამა.</p> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლუატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სოფ.კარწახის წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები</li> <li>• სოფლების საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია</li> <li>• მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია (ქ. ახალქალაქი, ს. ოლავერდი, ბულაშენი, კარტიკამი, პატარა სამსარი)ვ</li> <li>• ქ. ახალქალაქში და ყოფილი 1-ლი ს/ქალაქში მრავალ ბინიანი კორპუსების საკანალიზაციო სისტემების, ასევე ქ. ახალქალაქში საკანალიზაციო ჭიების თავშესაფარის რეაბილიტაცია.</li> </ul>		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში იარსებებს სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი;</li> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე ექნება შეუფერხებელი წვდომა;</li> <li>- ადგილობრივი და შუკეთებული წყლის სისტემები იფუნქციონირებს გამართულად;</li> <li>- წყლის სისტემაში პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრება დროულად.</li> </ul>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია</b>	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 02 02</b>		<b>34,4</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის სერვისცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქალაქ ახალქალაქის გარდა 15 ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდა და დაზიანების აღმოფხვრა. რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში შექმნილია წყლის ტუმბო და გენერატორი. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა;</li> <li>- ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;</li> <li>- საჭიროების შესაბამისად წყლის ახალი ტუმბოების შექმნა.</li> </ul> <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 3 საშტატო ერთეული თანამშრომლის შრომის ანაზღაურების ხარჯები</p>		



	ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები. მინარსის ტიპის მიხედვით სასმელი წყლის სისტემების ექსპლოატაციის ქვეპროგრამა მიეკუთვნება მომსახურების მიწოდების ტიპის ქვეპროგრამას, პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწევა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას.
მოსალოდნელი შედეგი	აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 03 01		225,0
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ახალქალაქში და ადმინისტრაციულ ერთეულებში (დასახლებულ პუნქტში), მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლუატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო 2022 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გარე განათების ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება.</li> <li>• ქ. ახალქალაქში ჯავახეთის ქუჩის გარე განათების მოწყობა</li> </ul>		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 03 02		107,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის სერვისცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ახალქალაქში, ასევე ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში) ნაწილობრივად. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;</li> <li>• ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;</li> <li>• დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.</li> </ul>		
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 80%.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	2022 წლის დაფინანსება ათასი ლარი
	02 06 01		1776,8
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება, როგორც მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების, მოსაცდელების მოწყობა/რეაბილიტაცია, ასევე განხორციელდება ქალაქის გაფორმება სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის, სადღესასწაულო კომფორტული გარემოს შექმნა- მოსახლეობის განწყობის ამაღლება.</p> <p>კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამა შედგება ქვეპროგრამისაგან:</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სკვერებისა და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა; კომფორტული და ჯანსაღი გარემო შექმნა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეტესწილად დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა</li> <li>• შუქნიშნების ტექნიკური მომსახურებისათვის</li> <li>• ახალქალაქის მუნიციპალიტეტში არსებული ზოგადი ხედვისა და სატრასპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი კამერების მოვლა-პატრონობის მომსახურებისათვის</li> <li>• მუნიციპალურ ბალანსზე რიცხულ შენობებში გაზისა და ელექტროენერჯის მრიცხველების დაყენება</li> <li>• ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ზოგადი ხედვის კამერების დაყენება</li> <li>• სოფ. ბარაღეთის კულტურის სახლის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი</li> <li>• სოფ. ტურცხის ახალგაზრდების სახლის რეაბილიტაცია</li> <li>• ქ. ახალქალაქში პირუტყვის ბაზარის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი</li> <li>• ქ. ახალქალაქის „ჯივანის სახელობის“ სკვერის რეაბილიტაცია</li> <li>• ქ. ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის ქუჩის მდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (შსს-ს მიმდებარე ტერიტორიაზე პარკირებისთვის)</li> <li>• ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხეების მოჭრა-გასხვლა</li> <li>• ქ. ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის ქუჩაზე საცხოვრებელი მასივი, 1-ლი ს/ქ-ის და დ.აღმაშენებლის ქ. N35, 37, 39 (ყოფილ ქარხნის) ტერიტორიაზე სპორტული ტრენაჟორების მოწყობა</li> <li>• 2. ქ. ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის, მალხასიანის N2-ში, N მე-3 საბავშვო ბაღის მიმდებარე ჭავჭავაძის ქუჩასა და 1-ლი ს/ქ-ის ტერიტორიაზე მინი სტადიონის რეაბილიტაცია</li> <li>• შ.პ.ს. „ახალქალაქის სოფტექნიკის“ შენობის რეაბილიტაციისთვის</li> </ul>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>აღდგენილი და ახლად მოწყობილი სკვერები, მოსაცდელები;</p> <p>მოსახლეობისთვის შექმნილი კომფორტული საცხოვრებელი გარემო;</p> <p>სადღესასწაულო დღეებში მორთული ქალაქი;</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 08		307,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპორტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებითაც.</p>		



	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს)

რამის დასახელება	კოდი	სოფლის მარდაჭერის პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათასი ლარი
	02 09		1119,8
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მცხეთის მუნიციპალიტეტს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი, რომლის გაანგარიშებაც ხდება შემდეგი პრინციპით:</p> <p>ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 5 000 ლარი;</p> <p>ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 6 000 ლარი;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 8 000 ლარი;</p> <p>დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი.</p> <p>დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:</p> <p>ა) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი;</p> <p>ბ) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100 ამომრჩეველმა;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200 ამომრჩეველმა.</p> <p>თანხის გამოყოფასთან და ხარჯვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები და კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებით.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში;</p> <p>იმ მცირე პროექტების დაფინანსება, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა</p>		

**მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა**

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 877,4 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	877,4
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	825,9
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	51,5





პროგრამის დასახელება	კოდი	<b>დასუფთავება და ნარჩენების გატანას</b>	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>03 01</b>		<b>825,9</b>
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის სერვისცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ახალქალაქის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები.</p> <p>დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ახალქალაქის სერვისცენტრი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 7 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: კულიკამი, ხულგუმო, ბავრა, კორხი, თოთხამი, მაჯადია, მურჯახეთი, კუმურდო, ხოსპიო, გომანი, ჩამდურა, და ახალქალაქიდან კარწახამდე ფედერალური გზაზე არსებული 37 ცალი ნაგვის ურნა ქ. ახალქალაქიდან ბაქურიანის ფედერალური გზაზე არსებული 23 ნაგვის ურნა, ქ. ახალქალაქი-ახალციხის ფედერალური გზაზე არსებული 4 ცალი ნაგვის ურნა გატანა ნაგავსაყრელზე.</p> <p>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 90,5 მ/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 7 ნაგავმზიდი.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მოსახურების ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქალაქის ახალქალაქის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა; დასუფთავდება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები და მათ შორის ქ. ახალქალაქის მიმდინარე ტერიტორია და მოსახლეობისათვის გასართობი ადგილები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება</b>	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>03 02</b>		<b>51,5</b>
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის სერვისცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა, გაკირვა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ ახალქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 4 საშტატო ერთეულისაგან.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცელოვითი სამუშაოები.		

## მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2 655,2 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:



პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
04 00	განათლება	2 655,2
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1 865,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	634,0
04 03	განათლების ღონისძიებები	156,2

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		1865,0

პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება
-----------------------------	---

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 13 სრული საბავშვო ბაღი და 3 ალტერნატიული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1100 -ზე მეტი ბავშვი. საბავშვო ბაღებში ჯამში დასაქმებულია 253 ადამიანი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:

ბავა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;

საბავშვო ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;

ბავა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

საბავშვო ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;

ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;

ბავა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.

ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა

მოსალოდნელი შედეგი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - საბავშვო ბაღების გაერთიანებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და





საადმინისტრაციო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1161 ბავშვი, ქ. ახალქალაქიდან და 31 სოფლებიდან.

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 02		634,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალქალაქის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ყოველწლიურად ხორციელდება არსებული სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საბავშვო ბაღების მოსწავლეების ტრანსპორტორების უზრუნველყოფა</li> <li>• ქ. ახალქალაქის N1, N2 და N3, სოფ. კოჩიოს, სოფ. ბარალეთის, სოფ. აზავრეთისა და სოფ. კულიკამის საბავშვო ბაღების ტერიტორიაზე სათამაშო კომპლექსის დაყენება და რეაბილიტაცია</li> </ul>		
მოსალოდნელი შედეგი	განათლების ხარისხის ამაღლება და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება		

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების დაფინანსება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 03		156,2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალქალაქის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით.</p> <p>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის იმ სოფლებში მცხოვრებ სკოლის მოსწავლეებს რომლებშიც არ არის საჯარო სკოლები შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ სასკოლო ტრანსპორტით და მიიღონ საშუალო განათლება.		

## მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1547,0 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
-----------------	-----------------------------------	-----------------



05 00	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>1 547,0</b>
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	772,9
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	108,0
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	664,9
05 01 02 01	სპორტული სკოლის ხელშეწყობა	205,4
05 01 02 02	საჭადრაკო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	43,9
05 01 02 03	სპორტული კომპლექსის ხელშეწყობა	226,8
05 01 02 04	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	188,8
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	774,1
05 02 01	კულტურის ღონისძიებები	69,0
05 02 02	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	657,2
05 02 02 01	საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა	106,8
05 02 02 02	საკლუბო გაერთიანების ხელშეწყობა	180,9
05 02 02 03	სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა	162,8
05 02 02 04	სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა	69,4
05 02 02 05	ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება	50,4
05 02 02 06	აშუგის სკოლის ხელშეწყობა	27,7
05 02 02 07	მომავლის სახლის ხელშეწყობა	59,2
05 02 03	საინფორმაციო პროგრამა	47,9

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01		108,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებებისა და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, დიპლომებითა და მედლებით.</p> <p>პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა სპორტსმენების დაჯილდოვება, ასპორტული ინვენტარის შეძენა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტ ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული და სხვა;		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული სკოლის ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 01		205,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p><b>ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფეხბურთი</li> <li>• მინი ფეხბურთი</li> <li>• მაგიდის ჩოგბურთი</li> <li>• რაგბი</li> <li>• კარატე</li> <li>• ფრენბურთი</li> <li>• თავისუფალი სტილით ჭიდაობა</li> </ul> <p>მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას (ფრენბურთი; ფეხბურთი; ჭიდაობა; რაგბი; კარატე, მაგიდის ჩოგბურთი და სხვა), ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა; სპორტული სკოლით სარგებლობს 180 მოსწავლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საჭადრაკო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 02		43,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p><b>ფუნქციონირებს ჭადრაკის სექცია სოფელ დილისკაში სადაც ირიცხება 40 მოსწავლე.</b></p> <p>მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში საჭადრაკო სპორტის განვითარება. ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	საჭადრაკო სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; საჭადრაკო სკოლით სარგებლობს 90 მოსწავლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული კომპლექსის ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 03		226,8
ქვეპროგრამის	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სპორტული კომპლექსი		



განმახორციელებელი	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p><b>ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კრივი;</li> <li>• კიკბოქსინგი;</li> <li>• კარატე;</li> <li>• კარატე კიოკუშინკაი;</li> <li>• სათხილამურო სპორტი სოფელ არაგვაში;</li> </ul> <p>ფუნქციონირებს სპორტული სექციები მუნიციპალიტეტის სოფლებში კერძოდ:</p> <p>სოფელ კარტიკაში კრივის სექცია -50 მოსწავლე;</p> <p>კარატეს სექცია სოფელ მაჯადიაში - 25 მოსწავლე;</p> <p>ჭიდაობის სექცია სოფელ დილისკაში - 90 მოსწავლე;</p> <p>მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას (კრივი, კინგბოქსი, კარატე, სათხილამურო სპორტი და სხვა), ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას;</p>
მოსალოდნელი შედეგი	სპორტ-კომპლექსი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სხვადასხვა სპორტული წრეებით სარგებლობა; სპორტ-კომპლექსით სარგებლობს 400 მოსწავლე.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცურაო სპორტისა და ფიტნესის განვითარების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 04		188,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის დახურული საცურაო აუზი		
